აწსუ–ს აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის შესახებ

2017 წლის ნოემბერ-დეკემბერი

2017 წლის ნოემბერ–დეკემბერში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის მიერ ჩატარდა გამოკითხვა აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის შესახებ. კვლევის მიზანი იყო აწსუ-ში სამუშაო პირობებით კმაყოფილების, საუნივერსიტეტო პროცესებში აკადემიური პერსონალის ჩართულობის შესწავლა, უნივერსიტეტის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად, ონლაინ რეჟიმში. ელექტრონული გამოკითხვის ბმული დაეგზავნა თანამშრომლებს ელ.ფოსტებზე, წინასწარი შერჩევის გარეშე.

სულ გამოკითხულია 269 რესპონდენტი, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მიღებული შედეგების ანალიზი. გამოკითხულთა უმრავლესობა ასოცირებული პროფესორია – 58,1%, მოწვეულ სპეციალისტთა რაოდენობა 20,4% წარმოადგენს, 11,5% ასისტენტ პროფესორია, ხოლო პროფესორი – 10 %.





გამოკითხვის მონაწილეთა უმრავლესობა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია (68,5%), დარჩენილ 31,5% მამრობითი სქესი წარმოადგენს.





გამოკითხულთა უმრავლესობას 46–დან 65 წლამდე ადამიანები წარმოადგენენ– 52,2%, 36–დან 45 წლამდე თანამშრომელთა რაოდენობა 25,7%_ია , 25–დან 35 წლამდე – 11,2%, 65 წელს ზემოთ – 9,7%, ხოლო 25 წლამდე – 1,1%.



გამოკითხულთა უმრავლესობას – 50,9%, პედაგოგიური საქმიანობის 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს, 11–დან 20 წლამდე კი 31,6%–ს, რაც შეეხება გამოკითხულთა 10,8%–ს 5–დან 10 წლამდე , ხოლო ყველაზე მცირე, 5 წლამდე სამუშაო გამოცდილება 6,7%–ს.



აწსუ–ში 20 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება გამოკითხულთა ყველაზე მეტს, 45,4%–ს აქვს, 11–დან 20 წლამდე 25,7%–ს, 5–დან 10 წლამდე 21,6%–ს, ხოლო ყველაზე მცირე, 5 წლამდე 7,4%–ს.

გამოკითხულთა 68,8%–მა აიმაღლა კვალიფიკაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, ხოლო 31,2%–ს არ აუმაღლებია.



9. როგორ მიგაჩნიათ, პროფესიული საქმიანობისათვის რომელ სფეროში გესაჭიროებათ ცოდნის ამაღლება? (მიუთითეთ ყველა სასურველი ვარიანტი)



აკადემიური პერსონალი მიიჩნევს რომ პროფესიული საქმიანობისათვის ცოდნის ამაღლება სხვადასხვა სფეროში ესაჭიროებათ, მათ შორის უმრავლესობა თვლის რომ პირველ რიგში საჭიროა უცხო ენაში (57,2%), სწავლების თანამედროვე მეთოდებსა (45,4%) და კომპიუტერულ უნარ–ჩვევებში (20,1%). ასევე გამოიკვეთა სხვადასხვა მოსაზრებები, როგორიცაა: ეფექტური კომუნიკაცია (11,5%), პრეზენტაციის ხელოვნება (10%). გამოკითხულთა 7,1% მიიჩნევს რომ არცერთ სფეროში არ საჭიროებს ცოდნის ამაღლებას.

10. უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული რომელი სერვისებით სარგებლობთ/გისარგებლიათ? (მიუთითეთ ყველა შესაბამისი პასუხი)



უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისებიდან, პერსონალი ყველაზე აქტიურად სარგებლობს ოფიციალური ვებ–გვერდით (87%), საბიბლიოთეკო რესურსით (79,9%), კორპორაციული ელ.ფოსტით (77,7%) და სოციალური დახმარების პროგრამით (57,2%). პერსონალი ასევე გამოჰყოფს სხვა სერვისებს, მათ შორის 43,5% მონაწილეობს შეხვედრებში საზოგადოების წარმომადგენლებთან და ტრენინგ–კურსებში (30,9%), ჩართულია პროფესიული წვრთნისა და გადამზადების პროგრამებში (22,3%), უცხო ენის შემსწავლელ კურსებში (13,4%) და გაცვლით პროგრამებში (10,4%). მხოლოდ 0,8% არ სარგებლობს არც ერთი სერვისით.

11. რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილი და მიმდინარე აქტივობების შესახებ? (მიუთითეთ ყველა შესაბამისი პასუხი)



როგორც გამოკითხულთა 90,3% აღნიშნავს, უნივერსიტეტში დაგეგმილი ან მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაციას ფაკულტეტის/დეპარტამენტის ადმინისტრაციისაგან იღებს, 87,7% ინფორმაციის მისაღებად სარგებლობს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ–გვერდით და 74,8% კორპორაციული ელ.ფოსტით. რესპონდენტთა 62,1% ინფორმაციის მისაღებად იყენებს საინფორმაციო დაფებს, ხოლო 52% უნივერსიტეტის ოფიციალური Facebook-გვერდს. 0,8% კოლეგებისგან/მეგობრებისგან იგებს ინფორმაციას, მხოლოდ 0,7% აღნიშნავს რომ ვერ იღებს ინფორმაციას.

შემდეგ კითხვაში რესპონდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ 1–დან 5 ქულამდე რამდენად ეთანხმებოდნენ სხვადასხვა მოსაზრებები, სადაც 1 ნიშნავდა არ ვეთანხმები, 5 სრულიად ვეთანხმები.

12. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებებს?



გამოკითხულთა 56,6% სრულიად ეთანხმება რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს აკადემიური და მუშაობის შესაბამისი გარემოს განვითარებაზე. 23% უფრო ეთანხმება, ვიდრე არა. მხოლოდ 2,2% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, 1,1%–მა თავი შეიკავა პასუხისგან, ხოლო დარჩენილი 17,2% მეტ–ნაკლებად ეთანხმება.

67% ეთანხმება რომ ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა ელ.ფოსტაზე, ინტერნეტსა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებზე, 19% უფრო ეთანხმება, ვიდრე არა. 1,8% არ ეთანხმება, 3,7%–ს უჭირს პასუხის გაცემა, დარჩენილი 8,5% მეტ–ნაკლებად ეთანხმება მოსაზრებას.

გამოკითხულთა 61,7% სრულიად ეთანხმება რომ სამუშაო გრაფიკი არის მისაღები და ადეკვატური, 24,5% უფრო ეთანხმება, ვიდრე არა. 1,9% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, 0,7%–ს უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო დარჩენილი 11,1% მეტ–ნაკლებად ეთანხმება.



რესპონდენტთა 46,5% სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ შიდა კომუნიკაცია არის გამართული, ინფორმაციის ნაკადი უნივერსიტეტში არის ადეკვატური და ეფექტიანი, 35,5% ნაწილობრივ ეთანხმება (4ქულით), მხოლოდ 2,2% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

46,9% სრულიად ეთანხმება რომ უნივერსიტეტში არსებობს ეფექტიანი და ქმედითი მმართველობითი სტრუქტურა, ხოლო 32,3% ნაწილობრივ (4ქულით). 2,2% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

გამოკითხულთა 51,8% სრულიად ეთანხმება რომ ადმინისტრაცია ღიაა ქვევიდან წამოსული ინიციატივებისათვის. 24,5% ნაწილობრივ (4ქულით), ხოლო 2,6% არ ეთანხმება.

48% სრულიად ეთანხმება მოსაზრებას რომ ადმინისტრაცია ხედავს და სათანადოდ აფასებს მოტივირებულ და აქტიურ თანამშრომლებს. 26,4% აზრით ნაწილობრივ (4ქულით), ხოლო 4,8% არ ეთანხმება.



რესპონდენტთა 44,7% მიიჩნევს რომ თანამშრომლებს აქვთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობა, 29,3% ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას, 3,4% კი არ ეთანხმება.

36% სრულიად ეთანხმება რომ უნივერსიტეტში არსებობს კარიერული განვითარების ობიექტური გარემო, უფრო ეთანხმება, ვიდრე არა 33%,ხოლო 3,4% არ ეთანხმება.

გამოკითხულთა 45%–ის მოსაზრებით სრულიად აქვს საკუთარი იდეების რეალიზაციის შესაძლებლობა უნივერსიტეტში, მხოლოდ 3% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, 4%–მა თავი შეიკავა, თუმცა დარჩენილი 19% მეტ–ნაკლებად ეთანხმება.

65,4% გრძნობს, რომ მისი სამუშაო მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის, რაშიც მეტ–ნაკლებად ეთანხმება 30,4%, არ ეთანხმება მხოლოდ 1,6%, ხოლო 2,6%–მა თავი შეიკავა პასუხისგან.



გამოკითხვაში მონაწილეთა 58,7%–ს მოსწონს საკუთარ დეპარტამენტში არსებული ფსიქოლოგიური გარემო, 35% მეტ–ნაკლებად კმაყოფილია, 2,6%–ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო 3,7% არ ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას.

72,1%–ს აქვს კოლეგების დახმარების იმედი საჭიროების შემთხვევაში, 24,5% მეტ–ნაკლებად ეთანხმება მოსაზრებას, 1,8%–ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო 1,6% არ ეთანხმება.

გამოკითხულთა 69% აღნიშნავს რომ მათთვის კომფორტულია მუშაობა უშუალო ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში, მეტ–ნაკლებად ეთანხმება 27,6%, 1,6–ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო 1,8% არ ეთანხმება.

55,4% სრულიად ეთანხმება მოსაზრებას რომ სამუშაო დატვირთვა თანამშრომლებს შორის ნაწილდება სამართლიანად, 39,6% მეტ–ნაკლებად ეთანხმება, ხოლო 3–3% არ ეთანხმება ან უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.



გამოკითხულთა 89,6%–ს არ შექმნია პრობლემა არც ერთ სტრუქტურულ ერთეულთან, ხოლო 10,4% –ის მიერ კითხვაზე „დიახ“ პასუხის გაცემის შემდეგ, სტრუქტურული ერთეული დააკონკრეტა მხოლოდ ნახევარმა და შედეგები ასე გამოიყურება:



როგორც ვხედავთ, დეკანატთან პრობლემა აქვს/ჰქონია გამოკითხულთა 27%–ს, დეპარტამენტთან, კანცელარიასთან და სამდივნოსთან 12–12%–ს, რეიტინგული შეფასების ცენტრთან და პროფესიული პრაქტიკის სექტორთან 8–8%–ს, ხოლო 4–4%–ით აღნიშნულია ხარისხის მართვის, ადამიანური რესურსების მართვის, საგარეო ურთიერთობათა განვითარების და იურიდიული სამსახურები, ასევე ბუღალტერია და პროფესიული სწავლება წარმოდგენილია 4–4%–ით.

რესპონდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული 1 –დან 5 ქულამდე, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან ცუდს, ხოლო 5- ძალიან კარგს.



რექტორის აპარატი მაქსიმალური 5 ქულით, გამოკითხულთა 66,5%–მა შეაფასა, 4 ქულით – 21,6%–მა, 3 ქულით 6%–მა, 2 ქულით 0,7%–მა, 1 ქულით 1,5%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხულთა 3,7%–ს გაუჭირდა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 5 ქულით, რესპონდენტთა 61,7%–მა შეაფასა, 4 ქულით – 26,8%–მა, 3 ქულით 6,3%–მა, 2 ქულით 1,8%–მა, 1 ქულით 1,5%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 1,8%–ს გაუჭირდა.

ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური 5 ქულით, გამოკითხულთა 59,5%–მა შეაფასა, 4 ქულით – 23,8%–მა, 3 ქულით 8,5%–მა, 2 ქულით 3%–მა, 1 ქულით 2,2%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 3%–ს გაუჭირდა.



ადამიანური რესურსების მართვის სამსახური 5 ქულით, გამოკითხულთა 60,6%–მა შეაფასა, 4 ქულით – 23,4%–მა, 3 ქულით 8,5%–მა, 2 ქულით 2,6%–მა, 1 ქულით 1,5%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 3,3%–ს გაუჭირდა.

საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური 5 ქულით, რესპონდენტთა 47,2%–მა შეაფასა, 4 ქულით – 28,3%–მა, 3 ქულით 8,5%–მა, 2 ქულით 3,7%–მა, 1 ქულით 1,1%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 11,1%–ს გაუჭირდა.

სასწავლო პროცესების მართვის სამსახური 5 ქულით, გამოკითხულთა 59,5%–მა შეაფასა, 4 ქულით – 25%–მა, 3 ქულით 9,3%–მა, 2 ქულით 4%–მა, 1 ქულით 1,1%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 1,1%–ს გაუჭირდა.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია 5 ქულით, გამოკითხვაში მონაწილეთა 74%–მა შეაფასა, 4 ქულით – 17,1%–მა, 3 ქულით 6 %–მა, 2 ქულით 0,3%–მა, 1 ქულით 2,2%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 0,3%–ს გაუჭირდა.



ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახური 5 ქულით, რესპონდეტთა 49%–მა შეაფასა, 4 ქულით – 29,4%–მა, 3 ქულით 9%–მა, 2 ქულით 3%–მა, 1 ქულით 1,8%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 7,8%–ს გაუჭირდა.

მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური 5 ქულით, გამოკითხულთა 50,2%–მა შეაფასა, 4 ქულით – 26%–მა, 3 ქულით 8,5%–მა, 2 ქულით 3%–მა, 1 ქულით 2,2%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 10%–ს გაუჭირდა.

იურიდიული სამსახური 5 ქულით, გამოკითხულთა 39%–მა შეაფასა, 4 ქულით – 24,2%–მა, 3 ქულით 10,4%–მა, 2 ქულით 5,2%–მა, 1 ქულით 3,3%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 17,8%–ს გაუჭირდა.



ბიბლიოთეკა 5 ქულით, გამოკითხვაში მონაწილეთა 71%–მა შეაფასა, 4 ქულით – 19,3%–მა, 3 ქულით 5,6%–მა, 2 ქულით 1,8%–მა, 1 ქულით 0,7%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 1,5%–ს გაუჭირდა.

სტუდენტთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი 5 ქულით, რესპონდენტთა 46%–მა შეაფასა, 4 ქულით – 26%–მა, 3 ქულით 10%–მა, 2 ქულით 1,9%–მა, 1 ქულით 1,9%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 14,1%–ს გაუჭირდა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი 5 ქულით, გამოკითხულთა 38,7%–მა შეაფასა, 4 ქულით – 26%–მა, 3 ქულით 11,1%–მა, 2 ქულით 4,5%–მა, 1 ქულით 3%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 16,7%–ს გაუჭირდა.

კანცელარია 5 ქულით, გამოკითხულთა 57,2%–მა შეაფასა, 4 ქულით – 22%–მა, 3 ქულით 11,9%–მა, 2 ქულით 2,6%–მა, 1 ქულით 3%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 3,3%–ს გაუჭირდა.



უწყვეტი განათლების ცენტრი 5 ქულით, გამოკითხულთა 47,6%–მა შეაფასა, 4 ქულით – 23%–მა, 3 ქულით 10,4%–მა, 2 ქულით 1,5%–მა, 1 ქულით 1,8%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 15,6%–ს გაუჭირდა.

დოქტორანტურის განყოფილება 5 ქულით, რესპონდენტთა 59,1%–მა შეაფასა, 4 ქულით – 18,2%–მა, 3 ქულით 9,3%–მა, 2 ქულით 1,8%–მა, 1 ქულით 3%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 8,5%–ს გაუჭირდა.

ჟურნალი „მოამბე“ 5 ქულით, გამოკითხვაში 48%–მა შეაფასა, 4 ქულით – 16,7%–მა, 3 ქულით 8,2%–მა, 2 ქულით 4,8%–მა, 1 ქულით 1,1%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 21,2%–ს გაუჭირდა.

გაზეთი ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი'' 5 ქულით, გამოკითხულთა 46,5%–მა შეაფასა, 4 ქულით – 20%–მა, 3 ქულით 9,3%–მა, 2 ქულით 4%–მა, 1 ქულით 1,5%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 18,6%–ს გაუჭირდა.



არქივი 5 ქულით, გამოკითხულთა 49,8%–მა შეაფასა, 4 ქულით – 19%–მა, 3 ქულით 8,2%–მა, 2 ქულით 2,6%–მა, 1 ქულით 2,2%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 18,2%–ს გაუჭირდა.

რეიტინგული შეფასების ცენტრი 5 ქულით, რესპონდენტთა 58,4%–მა შეაფასა, 4 ქულით – 24,21%–მა, 3 ქულით 7,4%–მა, 2 ქულით 1,8%–მა, 1 ქულით 2,6%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 5,5%–ს გაუჭირდა.

კომპიუტერული ცენტრი 5 ქულით, გამოკითხულთა 55%–მა შეაფასა, 4 ქულით – 25%–მა, 3 ქულით 6,6%–მა, 2 ქულით 1,8%–მა, 1 ქულით 2,6%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 9%–ს გაუჭირდა.



გამომცემლობა 5 ქულით, გამოკითხვაში მონაწილეთა 63,5%–მა შეაფასა, 4 ქულით – 19,7%–მა, 3 ქულით 6,7%–მა, 2 ქულით 1,9%–მა, 1 ქულით 1,9%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 6,3%–ს გაუჭირდა.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრი 5 ქულით, რესპონდენტთა 45%–მა შეაფასა, 4 ქულით – 27,5%–მა, 3 ქულით 11,8%–მა, 2 ქულით 4%–მა, 1 ქულით 4%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 17,2%–ს გაუჭირდა.

ენათა ცენტრი 5 ქულით, გამოკითხულთა 48,7%–მა შეაფასა, 4 ქულით – 21,5%–მა, 3 ქულით 10,7%–მა, 2 ქულით 1,5%–მა, 1 ქულით 3%–მა, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 14,5%–ს გაუჭირდა.

15. თქვენი აზრით, საუნივერსიტეტო ცხოვრების რომელი ასპექტები საჭიროებენ პირველ რიგში გადაწყვეტას? (მიუთითეთ პასუხის მაქსიმუმ სამი ვარიანტი)



გამოკითხულთა უმრავლესობის (86,2%) აზრით პირველ რიგში აუცილებელია სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები, 64,3% შემდეგ მოსაგვარებელ საკითხად მიიჩნევს შრომის ანაზღაურებას, 48,7% ინფრასტრურქტურის გაუმჯობესებას და 37,2% თანამედროვე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფას. ასევე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის : დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (28,6%), პრაქტიკის ორგანიზაცია (22,3%), აუდიტორიების რაოდენობა (21,6%). გამოკითხულთა შედარებით მცირე რაოდენობა აღნიშნავს სასწავლო კურსების შინაარსს (15,%), მეცადინეობებზე დასწრების კონტროლს (10,4%) და მეცადინეობების განრიგს (8,2%).

16. როგორც, უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს

16.1. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში?



გამოკითხულთა 38,3%–ს მიღებული აქვს მონაწილეობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვაგვარი საკითხების განხილვაში.

16.2. გაგიწევიათ თუ არა საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურეობა, ჩაგიტარებიათ კვლევები სხვა ინსტიტუციისათვის ან ცალკეული იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის?



გამოკითხულთა 31,6%–ს გაუწევია საექსპერტო ან საკონსულტაციო მომსახურეობა, ჩაუტარებია კვლევები სხვა ინსტიტუციისათვის ან ცალკეული იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის.

16.3. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობ ღონისძიებებში?



გამოკითხულთა უმრავლესობას, 55,8% მონაწილეობა აქ მიღებული სხვადასხვაგვარ სწავლის ხელშემწყობ ღონისძიებაში.

17. აწსუ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული, სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.



გამოკითხულთა 49,8% თვლის რომ უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული, 48,3% მიიჩნევს რომ ნაწილობრივ არის კოორდინირებული ფუნქცია–მოვალეობები, მხოლოდ 1,9% არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას და აწსუ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებებს:

- ✓ ხშირ შემთხვევაში რაიმე საკითხის გადასაწყვეტად პიროვნებას უხდება ერთი სტრუქტურიდან მეორეს მიმართოს, შემდეგ მესამეს და ა.შ.;
- ✓ არ არის ჩამოყალიბებული ყველა სამსახურის ყველა თანამშრომლის სამუშაოთა აღწერილობები.

18. აწსუ მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.



რესპონდენტთა 93,7% მიიჩნევს რომ მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი, ხოლო 6,3% არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას.

გამოკითხულთა 37,9%–თვის ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის შესახებ სრულიად ხელმისაწვდომია, 54,6%–თვის ნაწილობრივ, ხოლო შედარებით მცირე, 7,4%–თვის არ არის ხელმისაწვდომი.

19. რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის საერთაშორისო თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პროცესი?

19.1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:



გამოკითხულთა მხოლოდ 5,6% აქვს მიღებული მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო მობილობის პროგრამაში, მათ შორის აქტიურად ერასმუსის პროგრამებში.

19.2. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საერთაშორისო მობილობის პროგრამაში?



19.3. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში?



გამოკითხულთა 23,8% მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში. მათ შორის:

19.4. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო/ სახელოვნებო შემოქმედებით აქტივობებში?



გამოკითხულთა 40,1%–ს მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო/ სახელოვნებო შემოქმედებით აქტივობებში.

20. მონაწილეობთ თუ არა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესში?



რესპონდენტთა 52,2% აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესში, 37,9% იშვიათად მონაწილეობს, ხოლო 9,3% არასდროს მიუღია მონაწილეობა.

21. მონაწილეობთ თუ არა უნივერსიტეტის მიერ მიწოდებულ სერვისების შეფასებისა და განვითარების პროცესებში?



გამოკითხულთა 35,7% ხშირად მონაწილეობს უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სერვისების შეფასებისა და განვითარების პროცესებში, 48% იშვიათად ერთვება, ხოლო 16,4% არასდროს.

22. იცნობთ თუ არა აკადემიური თავისუფლების პრინციპებს?



გამოკითხულთა უმრავლესობა, 45% , სრულიად იცნობს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, 40,5% ნაწილობრივ. შედარებით მცირე რაოდენობას, 9,7% –ს სმენია ამის შესახებ, ხოლო 4,8% არ იცნობს.

23. იცნობთ თუ არა აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს, პლაგიატის შესახებ არსებულ რეგულაციებს?



რესპონდენტთა 62,5% სრულიად იცნობს აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს, პლაგიატის შესახებ არსებულ რეგულაციებს, 30,9% ნაწილობრივ. 4,5%–ს სმენია, ხოლო 2,2%–სთვის ეს რეგულაცია უცნობია.

24. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ პერსონალის სამსახურში მიღების წესი არის გამჭვირვალე და ობიექტური, უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას?



გამოკითხულთა 90,7% თანხმდება, რომ პერსონალის სამსახურში მიღების წესი არის გამჭვირვალე და ობიექტური, უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, ხოლოდ 9,3% არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას და გამოთქვამს შემდეგ შენიშვნებს:

- ✓ სასურველია პერსონალის სამსახურში მიღების წესში კრიტერიუმები იყოს უფრო მოქნილი, თითოეული თანამშრომელი უნდა ემსახურებოდეს კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას. ყოველ თანამშრომელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს;
- ✓ კადრები უნდა შეირჩეს პროფესიონალიზმის საფუძველზე და ობიექტურად, შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით;
- ✓ კადრების სამსახურში აყვანისას უნდა იყოს გათვალისწინებული არა მხოლოდ მათი ინტელექტუალური კუთხე, არამედ მათი ფსიქოლოგიური მიდგომა, მოთმინება, ნებისყოფა და სიყვრული კონკრეტული საქმიანობის მიმართ;
- ✓ უფრო ზუსტად უნდა განისაზღვროს კონკურსის მოთხოვნები, საკონკურსო პირობები და კრიტერიუმები (სასურველია კონკურსამდე 3 თვით ადრე)

25. როგორ მიგაჩნიათ, უზრუნველყოფს თუ არა უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიები, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი და სხვ.) საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებს?



გამოკითხვაში მონაწილეთა 75,1% თვლის, რომ უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებს, 13,8%–ის მოსაზრებით სრულიად უზრუნველყოფს, ხოლო 7,1%–ის აზრით ვერ უზრუნველყოფს.

რესპონდენტებს ვთხოვეთ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა შეეფასებინათ 1 –დან 5 ქულამდე, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან ცუდს, ხოლო 5- ძალიან კარგს.

26. როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას?



გამოკითხულთა 52,4%–მა ბიბლიოთეკა 5 ქულით შეაფასა, 4 ქულით – 38,3%–მა, 3 ქულით 8,1%–მა, 2 ქულით 0,7%–მა, ხოლო 1 ქულით 0,4%–მა.

სამკითხველო დარბაზები 5 ქულით, გამოკითხულთა 54,3%–მა შეაფასა, 4 ქულით – 38,2%–მა, 3 ქულით 6%–მა, ხოლო 2 ქულით 1,5%–მა.

რესპონდენტთა მხოლოდ 9%–მა შეაფასა 5 ქულით სასწავლო აუდიტორიები, ხოლო 48,7%–მა 4 ქულით, 3 ქულით 31,2%–მა, 2 ქულით 7,4%–მა, 1 ქულით 3,7%–მა.

კომპიუტერული კლასები 5 ქულით, გამოკითხულთა 30,8%–მა შეაფასა, 4 ქულით შედარებით მეტმა – 44,6%–მა, 3 ქულით 17,1%–მა, 2 ქულით 5,2%–მა, 1 ქულით 2,2%–მა.



გამოკითხვაში მონაწილეთა მხოლოდ 16%–მა შეაფასა სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები 5 ქულით, 39,8%–მა კი 4 ქულით, 3 ქულით 26,7%–მა, 2 ქულით 10,8%–მა, 1 ქულით 6,7%–მა.

სააქტო და საკონფერენციო დარბაზები 5 ქულით, გამოკითხულთა 48%–მა შეაფასა, 4 ქულით – 35,6%–მა, 3 ქულით 12,6%–მა, 2 ქულით 3,7%–მა.

5 ქულით სპორტული მოედნები გამოკითხულთა 23%–მა შეაფასა, 4 ქულით – 35%–მა, 3 ქულით 27,1%–მა, 2 ქულით 8,5%–მა, 1 ქულით 6,3%–მა.



რესპონდენტთა მხოლოდ 8,1%–მა შეაფასა ჰიგიენური კვანძები 5 ქულით, ხოლო 4 ქულით – 28,8%–მა, 3 ქულით კი 30,9%–მა, დაახლოებით თანაბრად შეფასდა უფრო დაბალი ქულებით, მათ შორის: 2 ქულა 16,8%–მა, 1 ქულა 16%–მა.

გამოკითხულთა 16,8%–მა სარეკრეაციო ზონები 5 ქულით შეაფასა, უმრავლესობამ 4 ქულით – 38,2%–მა, 3 ქულით 24,5%–მა, 2 ქულით 9,7%–მა, 1 ქულით 10,8%–მა.

საპროფესოროები 5 ქულით, გამოკითხულთა 25%–მა შეაფასა, 4 ქულით – 37,5%–მა, 3 ქულით 23,4%–მა, 2 ქულით 9,3%–მა, 1 ქულით 4,8%–მა.

27. როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების სერვისის ეფექტურობას?



სამედიცინო დახმარების სერვისი დადებითად გამოკითხულთა 33,8%–მა შეაფასა, საშუალოდ 35,3%–მა, უარყოფითად 3,3%–მა, ხოლო გამოყენების საჭიროება არ ჰქონია 33,8%–ს, რის გამოც პასუხის გაცემაზე თავი შეიკავეს.

დასასრულს, რესპონდენტებს ვთხოვეთ გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები უნივერსიტეტში სამუშაო გარემოსა და პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. გამოკითხვაში მონაწილე თანამშრომლებმა გამოთქვეს შემდეგი სურვილები და რეკომენდაციები:

- ✓ ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის, როგორც აუდიტორიების, ასევე ლაბორატორიების, გაუმჯობესება;
- ✓ პროფესორ-მასწავლებლებისა და ტექნიკური პერსონალის ანაზღაურების გაზრდა;
- ✓ მოსაწესრიგებელია აგრარული ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა (არ არის ტროტუარი ფეხით მოსიარულეთათვის);
- ✓ თანამშრომლების გადამზადება.

ზოგადი მიგნებები და ტენდენციები

1. გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა კმაყოფილია აწსუ-ში მუშაობისა და პროფესიული განვითარებისათვის არსებული პირობებით.
2. აკადემიური პერსონალის უმრავლესობა კმაყოფილია უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მუშაობით, თუმცა მათ მცირე ნაწილს შექმნია გარკვეული სახის პრობლემები.
3. აკადემიური და მოწველი პერსონალის უმრავლესობას უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში აუმაღლებია პროფესიული კვალიფიკაცია, თუმცა დაინტერესებულია ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებით.
4. პერსონალის უმრავლესობა აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ტიპის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვაგვარი საკითხების განხილვაში, გაუწევია საექსპერტო ან საკონსულტაციო მომსახურეობა, ჩაუტარებია კვლევები სხვა ინსტიტუციისათვის ან ცალკეული იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის, მიღებული აქვს მონაწილეობა სწავლის ხელშემწყობ ღონისძიებებში და სხვა.
5. აკადემიური პერსონალის აზრით, გარკვეულ გაუმჯობესებას საჭიროებს სასწავლო აუდიტორიების, სამეცნიერო ლაბორატორიების, კომპიუტერული კლასებისა და ჰიგიენური კვანძების არსებული მდგომაროება.

რეკომენდაციები

1. სასურველია, უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა, ფაკულტეტების ადმინისტრაციამ, უწყვეტი განათლების ცენტრმა იზრუნოს აწსუ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგ-მოდულების შემუშავებაზე შემდეგი მიმართულებებით: სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები, ეფექტური კომუნიკაცია, უცხო ენის შემსწავლელი კურსები, კომპიუტერული უნარ-ჩვევები და პრეზენტაციის ხელოვნება.
2. ვინაიდან დიდი არ არის საერთაშორისო მობილობის პროგრამებში და საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა, სასურველია შემუშავდეს საუნივერსიტეტო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობას, მოხდეს ინტერკულტურული კომუნიკაციისა და საპროექტო განაცხადების შემუშავების საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება.
3. სასურველია შემუშავდეს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების დროში გაწერილი გეგმა.